



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/322

ქ. ბათუმი 28 თებერვალი 2021 წ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის „სტუდენტთა დახმარება“ (კლასიფიკაციის კოდი: 051001) ფარგლებში მოქმედი დებულების, კომისიის შემადგენლობისა და სხვა რიგი საკითხების განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 08 თებერვლის 01-11/26 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამას „სტუდენტთა დახმარება“ (კლასიფიკაციის კოდი: 051001).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 8 თებერვლის N01-11/26 ბრძანებით სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის - „სტუდენტთა დახმარება“ (კლასიფიკაციის კოდი: 051001) ფარგლებში დამტკიცდა დებულება, კომისიის შემადგენლობა და სხვა რიგი საკითხები.

ახალი კორონავირუსის (COVID 19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, სამინისტროს 2021 წლის პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის „სტუდენტთა დახმარება“ ფარგლებში განხორციელდა რიგი ცვლილებები: გაიზარდა ბიუჯეტი და დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 25 ივნისის N632382 სამსახურებრივი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ცვლილება შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 8 თებერვლის N01-11/26 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის “უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის "სტუდენტთა დახმარება“ (კლასიფიკაციის კოდი: 051001) დებულება ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
პროგრამის "უმაღლესი განათლება" ქვეპროგრამის
„სტუდენტთა დახმარება“ (კლასიფიკაციის კოდი: 051001)
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

აღნიშნული დებულება არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ "სტუდენტთა დახმარება" ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და დასაფინანსებელ ბენეფიციართა შერჩევის წესს.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს სამინისტრო.
2. სამინისტრო შეიმუშავებს და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს:
 - ა) საკონკურსო განცხადების სამინისტროში წარდგენის ვადებს;
 - ბ) საკონკურსო განცხადების ფორმას;
 - გ) საკონკურსო კომისიის შემადგენლობას;
 - დ) საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ ბენეფიციართა სიას.

მუხლი 3. კონკურსის პირობები და დაფინანსების წესი

1. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხით დაფინანსდებიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი, ან მეორე საფეხურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებას მიიღებენ ის სტუდენტები, რომლებიც 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდნენ და მოიპოვეს დაფინანსების უფლება, მაგრამ ალტერნატიული დაფინანსება მიიღეს 2020 წლის 4 მაისის საქართველოს მთავრობის №286 დადგენილება "ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" დანართი N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობები“ ფარგლებში.
3. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაუგრძელდება იმ სტუდენტებს, რომლებმაც 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური მოსწრების შედეგების მიხედვით გადალახეს ქვეპროგრამით გათვალისწინებული ბარიერი და 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მოიპოვეს დაფინანსების უფლება, მაგრამ ალტერნატიული დაფინანსება მიიღეს 2020 წლის 4 მაისის საქართველოს მთავრობის №286 დადგენილება "ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შედეგად

მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დანართი N3 „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობები“ ფარგლებში.

4. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტზე დაფინანსება გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, სემესტრების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დადგენილი სტუდენტთა დაფინანსების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.
5. ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად.
 - ა) პირველ ეტაპზე მიიღება პირველი კურსის სტუდენტების საბუთები.
 - ბ) მეორე ეტაპზე მიიღება 1-ლი; მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტების საბუთები.
6. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა პირველ ეტაპზე გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის არაუმეტეს 230 სტუდენტს:
 - ა) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ პირველი კურსის სტუდენტს, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საქართველოს მთავრობის „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში);
 - ბ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ პირველი კურსის სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - გ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ პირველი კურსის სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - დ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ პირველი კურსის სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
 - ე) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ პირველი კურსის სტუდენტს, რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ვ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ პირველი კურსის სტუდენტს, რომელსაც ან რომლის მშობელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

7. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხა მეორე ეტაპზე გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს.

ა) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ 1-ლი; მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტს, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების საქართველოს მთავრობის „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში);

ბ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ 1-ლი; მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

გ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ 1-ლი; მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი ან მეტი შვილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ 1-ლი; მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ 1-ლი; მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტს, რომელიც არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ვ) პირველ და მეორე საფეხურზე ჩარიცხულ 1-ლი; მე-2; მე-3; მე-4; მე-5 და მე-6 კურსის სტუდენტს, რომელსაც ან რომლის მშობელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

8. მეორე ეტაპზე კატეგორიებში ადგილების რაოდენობა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.
9. დაინტერესებული პირები საბუთებს წარმოადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში.
10. იმ სტუდენტის მონაცემები, რომელიც ერთდროულად განეკუთვნება ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ რამოდენიმე კატეგორიას, დაფინანსების მოსაპოვებლად განიხილება ჯერ პირველი კატეგორიის მიხედვით, ხოლო შემდგომ ამ ქვეპროგრამით განსაზღვრული კატეგორიების ფარგლებში თანმიმდევრობის მიხედვით.
11. თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიაში შემავალი სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), რომლებიც მონაწილეობენ ამ ქვეპროგრამაში, აღემატება შესაბამისი კატეგორიისათვის გამოყოფილი ადგილების (შემდგომში ადგილი) რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე.
12. თუ, ორ ან მეტ სტუდენტს აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი საშუალო არითმეტიკული ქულა, თანხა გაიცემა პირველი საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საკონკურსო ქულის საფუძველზე და მეორე საფეხურის სტუდენტის შემთხვევაში - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჯამური, ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად ჩაბარებული გამოცდის/გამოცდების ჯამური შედეგების საფუძველზე.
13. თუ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე გათვალისწინებული კატეგორიების მიხედვით დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა ნაკლებია კატეგორიის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობაზე, რაც კატეგორიაში გამოიწვევს თანხის ეკონომიას, დარჩენილი თანხა გადანაწილდება კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით. თუ გათვალისწინებული თანხა დარჩება რომელიმე კატეგორიაში ეკონომიის სახით, დარჩენილი თანხა გადანაწილდება კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით. თუ ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა დარჩება ეკონომიის სახით, აღნიშნული თანხა გადანაწილდება კატეგორიებში თანაბრად დამატების გზით თანხის ამოწურვამდე. ზემოაღნიშნული გამოიწვევს კატეგორიებში განსაზღვრული დასაფინანსებელი ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილებას.

მუხლი 4. დაფინანსების ოდენობა

1. სემესტრის დაფინანსება ერთ სტუდენტზე განისაზღვრება მაქსიმალური ოდენობით 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარი.
2. მოპოვებული დაფინანსების გაუმჯობესების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს კონკურსი. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაუმჯობესებულ დაფინანსებას, სხვა შემთხვევაში კი შეუნარჩუნდება ძველი დაფინანსება.

3. სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსება ჩაირიცხება სტუდენტის სახელზე უნივერსიტეტის ანგარიშზე სწავლის საფასურის დასაფარად. სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში არ მოხდება სტუდენტის სწავლის საფასურის დავალიანებების დაფარვა.
4. სტუდენტი, რომლის აკადემიური მოსწრება საშუალო არითმეტიკულით იქნება 71% და მეტი ეძლევა ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება.
5. თუკი სტუდენტი აკადემიურ მოსწრებას საშუალო არითმეტიკულით 71% და მეტი შეინარჩუნებს ავტომატურად ხდება პრეტენდენტი შემდეგი სემესტრის დაფინანსების მიღებაზე.
6. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, მთელი სიზუსტის დამრგვალებით.
7. დაფინანსებული სტუდენტი, რომელსაც ბოლო სემესტრის რომელიმე საგანში ექნება F შეფასება (საგნის თავიდან გავლა) გამოეთიშება პროგრამას. სტუდენტებს, რომლებიც ვერ გადალახავენ აკადემიური მოსწრების ბარიერს, უფლება აქვთ თავიდან გაიარონ კონკურსი სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში.
8. სტუდენტს, რომელიც გაემგზავრება გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსება გაუგრძელდება საზღვარგარეთ სწავლის პერიოდის მანძილზე საზღვარგარეთ გავლილი კრედიტების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებისა და 71%-იანი ბარიერის გადალახვის დოკუმენტების წარმოდგენამდე.
9. სტუდენტს, რომელსაც სტუდენტის სტატუსი შეუჩერდება/შეუწყდება არაუმეტეს 1 წლისა, შეუნარჩუნდება დაფინანსება სტუდენტის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის პროგრამის არსებობის შემთხვევაში. დაფინანსების აღდგენის დროს მხედველობაში მიიღება სტატუსის შეჩერებამდე ბოლო სემესტრის შეფასება.
10. ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის (რომელზეც სწავლობს შესაბამისი სტუდენტი) სტატუსის დაკარგვის შემთხვევაში სამინისტრო დაფინანსებულ სტუდენტს სწავლის დაფინანსებას გაუგრძელებს, თუ სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს თორმეტი თვის ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ან/და იმ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გავლის (რომელზეც სწავლობს დაფინანსებული სტუდენტი) ან დაფინანსებული სტუდენტის ამავე დაწესებულებაში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით ჩაირიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 5. საკონკურსო განცხადების წარდგენა

1. სტუდენტმა კონკურსში მონაწილეობისთვის სამინისტროში კატეგორიაზე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მატერიალური ფორმით, ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. N4, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
2. სტუდენტმა - მაღალმთიანი აჭარიდან: (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლები) - უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - დ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;
 - ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღის, კურსისა და სწავლის საფასურის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.

3. სტუდენტმა - ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო) - უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) დაბადების მოწმობის ასლი;
 - დ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ე) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღის, კურსისა და სწავლის საფასურის შესახებ;
 - ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- თ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.

4. სტუდენტმა - მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (ოთხი, ან მეტი შვილი) - უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) განმცხადებლისა და მისი და-ძმის დაბადების მოწმობების ასლები;
 - დ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
 - ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღის, კურსისა და სწავლის საფასურის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.

5. სტუდენტმა - სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული სარეიტინგო ქულა ტოლია, ან ნაკლებია 100 000-ზე) - უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დაბადების მოწმობის ასლი;

დ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება რომ სტუდენტი ეკუთვნის სოციალურად დაუცველ ოჯახს (ცნობა გაცემული უნდა იყოს აღნიშნული პროგრამის სააპლიკაციო ვადის ფარგლებში);

ე) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;

ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღის, კურსისა და სწავლის საფასურის შესახებ;

ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;

საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-

თ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.

6. სტუდენტმა - მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა NIV-50/4) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

დ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;

ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღის, კურსისა და სწავლის საფასურის შესახებ;

ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;

საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-

ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.

7. სტუდენტმა - რომელსაც, ან რომლის მშობელსაც მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) დაბადების მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან გაცემული სათანადო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სტუდენტის, ან მისი მშობლის - მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი;

ე) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;

ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღის, კურსისა და სწავლის საფასურის შესახებ.

ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
თ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ/საერთო სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.

მუხლი 6. საკონკურსო კომისია

1. სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიის (შემდგომში - კომისია) შემადგენლობას.
2. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
3. კომისია განიხილავს კონკურსანტების განცხადებას (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ავლენს დასაფინანსებელ ბენეფიციარებს.
4. განათლების დეპარტამენტი მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის მიერ დასაფინანსებლად გამოვლენილ ბენეფიციართა სიას.
5. საკონკურსო განცხადების განხილვაში, შეფასებასა ან/და შერჩევაში დაუშვებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა მონაწილეობა.
6. ამ მუხლით გათვალისწინებული პირი შესაბამისი გარემოების არსებობის შემთხვევაში ვალდებულია, საკონკურსო კომისიასა და სამინისტროს აცნობოს თვითაცილების შესახებ.
7. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ სამინისტროსთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული კონკურსანტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებამდე, სამინისტრო უფლებამოსილია იმსჯელოს საკონკურსო კომისიის წევრის შეფასების გაბათილებასთან დაკავშირებით.
8. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან სამინისტრო აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება სამინისტროს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უფლება-მოვალეობანი.
2. სამინისტრო ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სტუდენტის/სტუდენტების შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვას;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლის საფასურის სტუდენტის/სტუდენტების სასარგებლოდ შესაბამის სემესტრში ჩათვლას;
4. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შესაბამისი თანხა დაუბრუნოს სამინისტროს ფაქტის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში;
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის მიერ სემესტრის სწავლის საფასურის სრულად დაფარვის შემთხვევაში, სტუდენტს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით უბრუნებს სამინისტროს მიერ ჩარიცხული ოდენობის თანხას;

6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის მიერ ალტერნატიული დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში სამინისტროს უბრუნებს სხვა წყაროდან მიღებული ოდენობის თანხას;
7. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა სამინისტროს წარუდგენს დაფინანსებული სტუდენტის/სტუდენტების შესაბამისი სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას.
8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სამინისტროს მიერ.
9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში მიაწოდოს სამინისტროს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.